

**მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად
რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად მრავალიცენზიანი
(თანმიმდევრული) აუქციონების გამოცხადების შესახებ**

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიას განცხადებებით მიმართა შპს „მობიტელმა“ (განცხადების კომისიაში რეგისტრაციის №6/11224-16, 20.10.2016 და 7/11687-16, 31.10.2016) 1925-1935 მჰც და 2115-2125 მჰც სიხშირულ დიაპაზონში 20 მჰც (2x10) სიხშირული რესურსის გამოყენებით, მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად აუქციონის გამოცხადების თაობაზე. განცხადების თანახმად, შპს „მობიტელი“ თხოვნით მომართავს კომისიას რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის განსაზღვრისას იხელმძღვანელოს კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების" მე-9 მუხლით და რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური განსაზღვროს 20%-იანი ფასდაკლებით.

კომისია აღნიშნავს, რომ „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 47² და 47³ მუხლების მოთხოვნების გათვალისწინებით, კომისიამ 2015 წლის 25 იანვარს №55/2 გადაწყვეტილებით განახორციელა რიგი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მოდიფიცირება 900მჰც, 1800მჰც და 2100მჰც დიაპაზონებში, 15 წლის ვადით, ტექნოლოგიური ნეიტრალიტეტის პრინციპის შესაბამისად; აღნიშნული პროცესის დროს შპს „მაგთიკომმა“ მოითხოვა დაწყვილებულ 2100 მჰც დიაპაზონში მის სარგებლობაში არსებული №F2 და №F12 ლიცენზიებით განსაზღვრული რესურსის ნაწილობრივ მოდიფიცირება.

შპს „მაგთიკომის“ №F12 და №F2 ლიცენზიები ითვალისწინებდა შემდეგ სიხშირულ რესურსს:

ა) №F12 ლიცენზია: 1920-1935 მჰც და 2110-2125 მჰც (დაწყვილებული 2100 მჰც დიაპაზონი - სულ 30 (2x 15) მჰც) და 1910-1915 მჰც (დაუწყვილებელი 2100 მჰც დიაპაზონი - სულ 5 მჰც);

ბ) №F2 ლიცენზია: 1935-1950 მჰც და 2125-2140 მჰც (დაწყვილებული 2100 მჰც დიაპაზონი - სულ 30 (2x 15) მჰც), 1915-1920 მჰც (დაუწყვილებელი 2100 მჰც დიაპაზონი - სულ 5 მჰც) მობილური საკომუნიკაციო მომსახურებისათვის;)

მოდიფიცირების შედეგად კომპანიამ დათმო სიხშირული რესურსის ნაწილი და სარგებლობაში დაიტოვა 1920-1935 მჰც და 2110-2125 მჰც რადიოსიხშირული ზოლები. ზემოაღნიშნულის შედეგად, 2100მჰც დიაპაზონში ხელმისაწვდომი გახდა - 2X15 მჰც სიხშირული რესურსი.

კომისია, აღნიშნავს, რომ შპს „მაგთიკომის“ ლიცენზიის მოდიფიცირების შედეგად გამოთავისუფლებულ სიხშირულ რესურსზე, კომისიის 2016 წლის 17 მარტის №185/8 გადაწყვეტილებით, მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიების მისაღებად გამოცხადდა სამი აუქციონი. კერძოდ, აუქციონებზე გამოტანილი იყო სულ 30 მჰც სიხშირული რესურსი, 2x5 მჰც-იან აბსტრაქტულ სიხშირულ ბლოკებად 2125-2140 მჰც და 1935-1950 მჰც რესურსის ფარგლებში; აღნიშნულ აუქციონებში მონაწილეობის სურვილი არცერთ კომპანიას არ გამოუთქვამს, შესაბამისად, მოთხოვნის არ არსებობის გამო კომისიის 2016 წლის 31 მაისის №332/8, №333/8 და №334/8 გადაწყვეტილებებით სამივე აუქციონი გამოცხადდა ჩაშლილად.

კომისია, ასევე, აღნიშნავს, რომ შპს „მაგთიკომი“, კომისიის 2006 წლის 3 ნოემბრის №472/22 და 2015 წლის 29 იანვრის №55/2 გადაწყვეტილებების შესაბამისად, ფლობდა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F12 ლიცენზიას 1920-1935 მჰც და 2110-2125 მჰც სიხშირულ დიაპაზონში. 2016 წლის 7 ივნისს, შპს „მაგთიკომმა“ განცხადებით მიმართა კომისიას (კომისიაში რეგისტრაციის №7/5251-16, 07/06/16) და მოითხოვა რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F12 ლიცენზიის მოდიფიცირება, კომპანიის სარგებლობაში არსებული სიხშირეების (1920-1935 მჰც და 2110-2125 მჰც) ალტერნატიული 1935-1950 მჰც და 2125-2140 მჰც სიხშირული რესურსით შეცვლის მიზნით. განაცხადის თანახმად, ლიცენზიით გათვალისწინებულ სიხშირულ რესურსზე ადგილი ჰქონდა ინტერფერენციას, რომელიც იწვევდა მომსახურების გაუარესებას. კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხზე და მიიღო შპს „მაგთიკომის“ კუთვნილი რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის №F12 ლიცენზიის მოდიფიცირების გადაწყვეტილება, გამომდინარე იქიდან, რომ მოთხოვნილი სიხშირული რესურსი იყო თავისუფალი. შესაბამისად, კომისიის 2016 წლის 1 სექტემბრის №594/2 გადაწყვეტილებით მოდიფიცირდა №F12 ლიცენზია და შპს „მაგთიკომს“ მიენიჭა 1935-1950 მჰც და 2125-2140 მჰც სიხშირული რესურსი, ნაცვლად 1920-1935 მჰც და 2110-2125 მჰც სიხშირული დიაპაზონისა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის შედეგად, დღეის მდგომარეობით ხელმისაწვდომია 2X15 მჰც სიხშირული რესურსი 1920-1935 მჰც და 2110-2125 მჰც დიაპაზონის ფარგლებში.

კომისია, ასევე, აღნიშნავს, რომ კომისიის 2016 წლის 1 სექტემბრის №594/2 გადაწყვეტილების და რადიოსიხშირეთა მართვის დეპარტამენტის მოხსენებითი ბარათის №10/5939-15, 17.08.2015 თანახმად, რადიოსიხშირული სპექტრის 1920-1930მჰც მონაკვეთი წარმოადგენს ხარვეზიან ზოლს სიხშირული ხელშეშლების თავალსაზრისით. კერძოდ რადიოსიხშირული სპექტრის 1920-1930მჰც მონაკვეთში გამოყენებული DECT-ის ამერიკულ სტანდარტზე მომუშავე პერსონალური არალიცენზირებადი საკომუნიკაციო სისტემები უქმნის ხელშეშლებს იმავე დიაპაზონში მომუშავე მგრძობიარე eNodeB ტრანსმიტერებს, რამაც, შესაძლოა, ზეგავლენა იქონიოს მომხმარებლისათვის გაწეულ მომსახურებაზე.

კომისია აღნიშნავს, რომ სხვადასხვა ქვეყნის სტანდარტზე მომუშავე რადიოელექტრონული აპარატურის, მათ შორის, რადიოტელეფონების შემოტანა და საქართველოს ბაზარზე განთავსება, დღეის მდგომარეობით, არ რეგულირდება არც ერთი სამართლებრივი აქტით. ამის გამო ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს ელექტრომაგნიტური ხელშეშლების წარმოქმნას, რომელთა გამოვლენა და აღმოფხვრა დაკავშირებულია რიგ სირთულეებთან. აღნიშნული პრობლემის რეგულირების სფეროში მოქცევის მიზნით, შემუშავების სტადიაშია „ტექნიკური რეგლამენტი“, რომლის მეშვეობითაც უნდა განხორციელდეს ბაზარზე განსათავსებელი რადიოელექტრონული საშუალებების ტექნიკური ზედამხედველობა, მათი ელექტრომაგნიტური თავსებადობისა და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობის კუთხით. რეგლამენტის შემუშავება, დამტკიცება და პრაქტიკაში რეალიზაცია გარკვეულ დროს მოითხოვს. აღნიშნული ნორმატიული ბაზის მიღებამდე, კომისია ვერ უზრუნველყოფს, მითითებული დიაპაზონის სარგებლობის ლიცენზიის მოპოვების შემთხვევაში, შესაძლო ხელშეშლების აღმოფხვრას. მოცემული გარემოების შესახებ ეცნობა შპს „მობიტელს“ კომისიის წერილით (№02/3238-16, 28.10.2016).

კომისია აღნიშნავს, რომ ევროკომისიის შესაბამისი გადაწყვეტილებებით (ევროკომისიის 2010/267/EU, 2012/688/EU და 2011/251/EU) რეკომენდებულია უსადენო/მობილური მიწისზედა სისტემებისათვის განკუთვნილ დიაპაზონებში რადიოსიხშირული რესურსის გაცემა განხორციელდეს 5 მჰც-იანი ბლოკების ჯერად; მიუხედავად იმისა, რომ 2100 მჰც დიაპაზონში შპს „მობიტელი“ ითხოვს 2X10 მჰც რესურსის სააუქციონოდ გამოტანას, კომისია მიიჩნევს, რომ მიზანშეწონილია აღნიშნულ დიაპაზონში ხელმისაწვდომი რესურსი აუქციონებზე გამოვიდეს 2X5 მჰც-იანი ბლოკების (ლიცენზიების) სახით, რაც აუქციონზე მონაწილეობის სხვა მსურველების გამოჩენის შემთხვევაში, მათ მოქნილად ქმედების საშუალებას მისცემს განსაზღვრული ბიზნეს მოდელის უზრუნველსაყოფად საჭირო რესურსის მოპოვების კუთხით. კომისია ასევე აღნიშნავს, რომ ლიცენზიის მფლობელების მომიჯნავე (თანმიმდევრულ) ბლოკებზე დაშვების უზრუნველყოფის მიზნით, მიზანშეწონილია 2100 მჰც დიაპაზონში არსებული ორი 2x5 მჰც-იანი სიხშირული ზოლები აუქციონზე გამოტანილ იქნას აბსტრაქტული ბლოკების სახით და აუქციონის შედეგების გათვალისწინებით, უზრუნველყოფილი უნდა იქნას ლიცენზიის მფლობელების მომიჯნავე (თანმიმდევრულ) სიხშირულ რესურსზე დაშვება. შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

დიაპაზონი	აუქციონი	ლიცენზიის ფარგლებში ხელმისაწვდომი რესურსი (მჰც)	ლიცენზიის ტიპი	ლიცენზიის შესაბამისი რესურსი	
				Up-link	Down-link
2100 მჰც	№1	2 x 5	აბსტრაქტული სიხშირული რესურსით	1925-1935	2115-2125
	№2	2 x 5	აბსტრაქტული სიხშირული რესურსით	1925-1935	2115-2125

კომისია აღნიშნავს, რომ „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ კომისიის მიერ ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებებისა და მიწისზედა სისტემებისათვის ჰარმონიზებულ რადიოსიხშირულ დიაპაზონში სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური უნდა დადგინდეს შესაბამისი

რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთისათვის ბენჩმარკინგის ან/და ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიებით შეფასებული 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულების საფუძველზე შემდეგი ფორმულით: $P = P_n \cdot C - B$ სადაც: P - რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის ოდენობა ლარებში; P_n - რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთისათვის ბენჩმარკინგის ან/და ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიებით შეფასებული 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულება; C - ერთი ლიცენზიის ფარგლებში სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული სპექტრის ერთეულთა(მჰცების) ოდენობა; B - სააუქციონოდ გამოტანილი რადიოსიხშირული სპექტრის სავარაუდო ღირებულების ($P_n \cdot C$) კომისიის მიერ, აუქციონის გამოცხადების შესახებ გადაწყვეტილებით განსაზღვრული 5%-დან 20%-მდე ფასდაკლება, რომელიც დგინდება ბაზარზე არსებული მოთხოვნისა და სალიცენზიო ვალდებულებების გათვალისწინებით. შესაბამისად, ყოველი კონკრეტული აუქციონის გამოცხადებისას კომისიას შესაძლებლობა აქვს კონკრეტული ლიცენზიისათვის განსაზღვრული სპეციფიკური მოთხოვნებისა და ვალდებულებების გათვალისწინებით განსაზღვროს 5%-დან 20%-მდე ფასდაკლება და ისე გაიანგარიშოს შესაბამისი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური. ამავე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, იმ შემთხვევაში, თუ შესაბამისი რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთისათვის 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულების შეფასება ხორციელდება ბენჩმარკინგისა და ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიების გამოყენებით, რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობის განსაზღვრისას უპირატესობა ენიჭება ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიას.

კომისია დამატებით აღნიშნავს, რომ 2014 წლის 12 აგვისტოს გამოცხადებული ელექტრონული ტენდერის (SPA140019263) ფარგლებში გამარჯვებული კომპანიის („ფრანსივოთერჰაუსკუპერს ცენტრალური აზია და კავკასია ბი. ვი.“-ს ფილიალი საქართველოში) მიერ, ტენდერის მოთხოვნების გათვალისწინებით, განხორციელდა ბიზნეს მოდელირების მეთოდის გამოყენებით 800 მჰც, 900მჰც და დაწყვილებული 2100 მჰც დიაპაზონის შეფასება და 1მჰც რესურსის ღირებულების (დამრგვალებული მთელ რიცხვამდე) განსაზღვრა. დაწყვილებულ 2100 მჰც დიაპაზონში 1 მჰც-ის სავარაუდო საბაზრო ღირებულება - 863 088.00 (რვაას სამოცდასამი ათას ოთხმოცდარვა) ლარით განისაზღვრა.

კომისია აღნიშნავს, რომ ერთის მხრივ 2015 წელს შპს „მაგთიკომის“ მიერ სიხშირული რესურსის ნაწილის მოდიფიცირებაზე უარის თქმა და მეორეს მხრივ 2100 მჰც სიხშირულ რესურსზე გამოცხადებული აუქციონების ჩაშლა მიუთითებს იმაზე, რომ დღეის მდგომარეობით მობილურ საკომუნიკაციო ბაზარზე არსებული კომპანიები (შპს „მაგთიკომი“ და შპს „ჯეოსელი“) ფლობენ საკმარის სიხშირულ რესურსს და არ არიან დაინტერესებულნი აღნიშნულ სიხშირულ დიაპაზონში დამატებითი რესურსის შექმნით. კომისია, ასევე, აღნიშნავს, რომ სიხშირული რესურსი 1920-1935 მჰც და 2110-2125 მჰც წარმოადგენს ხარვეზიან ზოლს ხელშემშლელის თვალსაზრისით, ამიტომ მიზანშეწონილია აღნიშნულ სიხშირეებზე აუქციონის გამოცხადების შემთხვევაში ლიცენზიის ერთ-ერთ სალიცენზიო ვალდებულებად განისაზღვროს მოსალოდნელი შექმნილი ხელშემშლელის შეგუების ვალდებულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისიას მიაჩნია, რომ შესაძლებელია შპს „მობიტელის“ მოთხოვნის (წერილები №6/11224-16, 20.10.2016 და №7/11687-16, 31.10.2016) გათვალისწინებით აუქციონის ფარგლებში ხელმისაწვდომი ლიცენზიებისთვის რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური გაანგარიშდეს კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილების მე-9 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ფორმულის შესაბამისად, ბიზნეს მოდელირების მეთოდოლოგიით შეფასებული 1 მჰც რესურსის სავარაუდო ღირებულების საფუძველზე, სადაც რადიოსიხშირული რესურსის სავარაუდო ღირებულების პროცენტული ფასდაკლება განსაზღვრული იქნება მაქსიმალური 20% - ის ოდენობით.

აუქციონი	ლიცენზიის (ლოტის) ფარგლებში სულ ხელმისაწვდომი რესურსი (მჰც)	ლიცენზიის (ლოტის) შესაბამისი სიხშირული რესურსი	რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური (ლარი)
№1	2 x 5	აბსტრაქტული (1925-1935 მჰც და 2115-2125 მჰც-ის ფარგლებში)	6 904 704.00

№2	2 x 5	აბსტრაქტული (1925-1935 მჰც და 2115-2125 მჰც-ის ფარგლებში)	6 904 704.00
----	-------	---	--------------

“ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ” საქართველოს კანონის 47², 50-ე და 52-ე მუხლების, „ლიცენზიებისა და ნებართვების“ შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-8 პუნქტის და მე-18 მუხლის, კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული “რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებისა” და კომისიის 2006 წლის 30 ივნისის №6 დადგენილებით დამტკიცებული “რადიოსიხშირული სპექტრის განაწილების ეროვნული გეგმის” შესაბამისად, კომისიამ, კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. გამოცხადდეს **№1** აუქციონი მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად, შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 10 მჰც (2X5 მჰც) სიხშირული რესურსი, 1925-1935 მჰც და 2115-2125 მჰც რესურსის ფარგლებში;

შენიშვნა: ლიცენზიის მფლობელების მომიჯნავე (თანმიმდევრულ) სიხშირულ ბლოკებზე დაშვების უზრუნველყოფის მიზნით, 2X5 მჰც სიხშირული ბლოკის შესაბამისი კონკრეტული სიხშირული რესურსი (1925-1935 მჰც და 2115-2125 მჰც სიხშირული რესურსიდან) განისაზღვრება აუქციონების შედეგების გათვალისწინებით, ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით.

ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა - ლიცენზიის გაცემიდან 15 წელი;

დ) სტანდარტული ტექნიკური პირობები:

დ.ა) FDD საბაზო სადგურებისათვის (დაუნლინკი):

დ.ა.ა) ბლოკის შიგნით EIRP-ს (ეკვივალენტური იზოტროპულად გასხივებული სიმძლავრე) ზედა ზღვრული მნიშვნელობა საბაზო სადგურისათვის - 65 დბმ/5 მჰც.

დ.ა.ბ) საბაზისო მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობა თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე თითოეულ სექტორზე):

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები FDD დაუნლინკისათვის	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
სიხშირეები, რომლებიც დაშორებულია 10 მჰც-ზე მეტით ბლოკის ზედა ან ქვედა საზღვრისაგან	9 დბმ	5 მჰც

დ.ა.გ) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე თითოეულ სექტორზე) FDD დაუნლინკისათვის განკუთვნილი სიხშირეებისათვის

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
-10 მჰც-დან -5 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	11 დბმ	5 მჰც

-5 მჰც-დან 0 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	16.3 დბმ	5 მჰც
0 მჰც-დან +5 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	16.3 დბმ	5 მჰც
+5 მჰც-დან +10 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	11 დბმ	5 მჰც

დ.ა.გ) FDD ტერმინალური სადგურებისათვის (აფლინკი): ტერმინალური სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის შიგნით გასხივების მაქსიმალური საშუალო მნიშვნელობა - 24 დბმ.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ე.ა) უზრუნველყოს რადიოსიხშირული რესურსის წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად გამოყენება;

ე.ბ) კომისიის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების რადიორეგლამენტის შესაბამისად საერთაშორისო კოორდინაციისათვის განსაზღვრული პირობებისა და კომისიის მიერ მეზობელ ქვეყნებთან საზღვრისპირა რეგიონებში რადიოსიხშირული სპექტრის კოორდინაციასთან დაკავშირებით გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების პირობების შესრულება;

ე.გ) კომისიას წარმოუდგინოს ინფორმაცია საბაზო სადგურების განთავსების ადგილის (გეოგრაფიული კოორდინატები), ანტენის დაკიდების სიმაღლის, ანტენის ტიპის, დახრის კუთხისა და მიმართულების (აზიმუტი), ასევე თითოეული გადამცემი სადგურის ფარგლებში გამოყენებული სიხშირული ზოლის შესახებ;

ე.დ) ხელშეშლების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს მომიჯნავე რადიოსიხშირული ბლოკით მოსარგებლე ლიცენზიის მფლობელთან ერთად რადიოსიხშირული რესურსის კოორდინირებულად გამოყენება;

ე.ე) ლიცენზიის მიღებიდან 1 წლის ვადაში ლიცენზიით განსაზღვრული რესურსის გამოყენებით უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 30%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

ე.ვ) 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში მის სარგებლობაში არსებული რესურსის ფარგლებში დანერგილი ერთი ან ერთზე მეტი უსადენო ტექნოლოგიის (მიწისზედა სისტემის) გამოყენებით, ერთობლივად, ლიცენზიის მიღებიდან 3 წლის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 90%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

ე.ზ) შეეგუოს მოსალოდნელ შექმნილ ხელშეშლებს და მიიღოს ყველა ზომა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

ე.თ) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესაბამისი პირობების დადგომისთანავე, კომისია უფლებამოსილი იქნება დამატებითი ვადა და პირობები განუსაზღვროს ლიცენზიის მფლობელს დაფარვის ვალდებულების შესასრულებლად.

2. გამოცხადდეს №2 აუქციონი მიწისზედა სისტემებით ელექტრონული საკომუნიკაციო მომსახურებების განსახორციელებლად რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად, შემდეგი სალიცენზიო პირობებით:

ა) რადიოსიხშირული სპექტრი: 10 მჰც (2X5 მჰც) სიხშირული რესურსი, 1925-1935 მჰც და 2115-2125 მჰც რესურსის ფარგლებში;

შენიშვნა: ლიცენზიის მფლობელების მომიჯნავე (თანმიმდევრულ) სიხშირულ ბლოკებზე დაშვების უზრუნველყოფის მიზნით, 2X5 მჰც სიხშირული ბლოკის შესაბამისი კონკრეტული სიხშირული რესურსი (1925-1935 მჰც და 2115-2125 მჰც სიხშირული რესურსიდან) განისაზღვრება აუქციონების შედეგების გათვალისწინებით, ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით.

ბ) გეოგრაფიული არეალი: საქართველო;

გ) ლიცენზიის მოქმედების ვადა - ლიცენზიის გაცემიდან 15 წელი;

დ) სტანდარტული ტექნიკური პირობები:

დ.ა) FDD საბაზო სადგურებისათვის (დაუნლინკი):

დ.ა.ა) ბლოკის შიგნით EIRP-ს (ეკვივალენტური იზოტროპულად გასხივებული სიმძლავრე) ზედა ზღვრული მნიშვნელობა საბაზო სადგურისათვის - 65 დბმ/5 მჰც.

დ.ა.ბ) საბაზისო მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობა თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე თითოეულ სექტორზე):

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები FDD დაუნლინკისათვის	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
სიხშირეები, რომლებიც დაშორებულია 10 მჰც-ზე მეტით ბლოკის ზედა ან ქვედა საზღვრისაგან	9 დბმ	5 მჰც

დ.ა.გ) გადასასვლელი მოთხოვნები - საბაზო სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის გარეთ EIRP-ს ზღვრული მნიშვნელობები თითოეულ ანტენაზე (ანტენების რაოდენობა - ერთიდან ოთხამდე თითოეულ სექტორზე) FDD დაუნლინკისათვის განკუთვნილი სიხშირეებისათვის

ბლოკის გარეთ გასხივების შესაბამისი სიხშირეები	მაქსიმალური საშუალო EIRP ბლოკის გარეთ	გაზომვების ზოლის სიგანე
-10 მჰც-დან -5 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	11 დბმ	5 მჰც
-5 მჰც-დან 0 მჰც-მდე ბლოკის ქვედა საზღვრიდან	16.3 დბმ	5 მჰც
0 მჰც-დან +5 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	16.3 დბმ	5 მჰც
+5 მჰც-დან +10 მჰც-მდე ბლოკის ზედა საზღვრიდან	11 დბმ	5 მჰც

დ.ა.გ) FDD ტერმინალური სადგურებისათვის (აფლინკი): ტერმინალური სადგურების ბლოკის საზღვრების მაფორმირებელი ნიღბის შიგნით გასხივების მაქსიმალური საშუალო მნიშვნელობა - 24 დბმ.

ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია:

ე.ა) უზრუნველყოს რადიოსიხშირული რესურსის წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტის დ) ქვეპუნქტით განსაზღვრული ტექნიკური პირობების შესაბამისად გამოყენება;

ე.ბ) კომისიის მიერ მოთხოვნის შემთხვევაში უზრუნველყოს საერთაშორისო სატელეკომუნიკაციო გაერთიანების რადიორეგლამენტის შესაბამისად საერთაშორისო კოორდინაციისათვის განსაზღვრული პირობებისა და კომისიის მიერ მეზობელ ქვეყნებთან საზღვრისპირა რეგიონებში რადიოსიხშირული სპექტრის კოორდინაციასთან დაკავშირებით გაფორმებული ორმხრივი ხელშეკრულებების პირობების შესრულება;

ე.გ) კომისიას წარმოუდგინოს ინფორმაცია საბაზო სადგურების განთავსების ადგილის (გეოგრაფიული კოორდინატები), ანტენის დაკიდების სიმაღლის, ანტენის ტიპის, დახრის კუთხისა და მიმართულების (აზიმუტი), ასევე თითოეული გადამცემი სადგურის ფარგლებში გამოყენებული სიხშირული ზოლის შესახებ;

ე.დ) ხელშეშლების თავიდან აცილების მიზნით, უზრუნველყოს მომიჯნავე რადიოსიხშირული ბლოკით მოსარგებლე ლიცენზიის მფლობელთან ერთად რადიოსიხშირული რესურსის კოორდინირებულად გამოყენება;

ე.ე) ლიცენზიის მიღებიდან 1 წლის ვადაში ლიცენზიით განსაზღვრული რესურსის გამოყენებით უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 30%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

ე.ვ) 800/900/1800/2100 მჰც დიაპაზონებში მის სარგებლობაში არსებული რესურსის ფარგლებში დანერგილი ერთი ან ერთზე მეტი უსადენო ტექნოლოგიის (მიწისზედა სისტემის) გამოყენებით, ერთობლივად, ლიცენზიის მიღებიდან 3 წლის ვადაში უზრუნველყოს საქართველოს მოსახლეობის (ოკუპირებული ტერიტორიების გარდა) მინიმუმ 90%-ის ხელმისაწვდომობა ელექტრონულ საკომუნიკაციო მომსახურებებზე;

ე.ზ) შეეგუოს მოსალოდნელ შექმნილ ხელშეშლებს და მიიღოს ყველა ზომა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად;

ე.თ) „ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერიტორიებზე შესაბამისი პირობების დადგომისთანავე, კომისია უფლებამოსილი იქნება დამატებითი ვადა და პირობები განუსაზღვროს ლიცენზიის მფლობელს დაფარვის ვალდებულების შესასრულებლად.

3. წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტით გამოცხადებული №1 აუქციონისათვის განისაზღვროს შემდეგი პირობები:

ა) აუქციონით გათვალისწინებული რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური განისაზღვროს 6 904 704.00 (ექვსი მილიონ ცხრაას ოთხი ათას შვიდას ოთხი) ლარის ოდენობით; აუქციონის ბიჯი შეადგენს რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობის 5%-ს, დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე ანუ 345 235.00 (სამას ორმოცდახუთი ათას ორას ოცდათხუთმეტი და 00) ლარს;

ბ) აუქციონის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2016 წლის 23 დეკემბერი 13:00 საათი;

გ) ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს 2016 წლის 8 დეკემბრის 17:00 საათამდე;

4. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტით გამოცხადებული №2 აუქციონისათვის განისაზღვროს შემდეგი პირობები:

ა) აუქციონით გათვალისწინებული რადიოსიხშირული რესურსით სარგებლობის საწყისი საფასური განისაზღვროს 6 904 704.00 (ექვსი მილიონ ცხრაას ოთხი ათას შვიდას ოთხი) ლარის ოდენობით; აუქციონის ბიჯი შეადგენს რესურსით სარგებლობის საფასურის საწყისი ოდენობის 5%-ს, დამრგვალებულს მთელ რიცხვამდე ანუ 345 235.00 (სამას ორმოცდახუთი ათას ორას ოცდათხუთმეტი და 00) ლარს;

ბ) აუქციონის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2016 წლის 23 დეკემბერი 13:00 საათი;

გ) ლიცენზიის მაძიებლების განცხადებების მიღება მოხდეს 2016 წლის 8 დეკემბრის 17:00 საათამდე;

5. წინამდებარე გადაწყვეტილებით გამოცხადებული აუქციონები ჩატარდება კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული „რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებით“ განსაზღვრული წესით;

6. რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთის (რადიოსიხშირული დიაპაზონის) ან მსგავსი მახასიათებლების მქონე რადიოსიხშირული ზოლის კონკრეტული მონაკვეთების (რადიოსიხშირული დიაპაზონების) ფარგლებში ხელმისაწვდომ რადიოსიხშირულ რესურსზე რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის/ლიცენზიების მისაღებად მრავალლიცენზიან (თანმიმდევრულ) აუქციონებში მონაწილეობის მიღების მიზნით ლიცენზიის მაძიებელი კომისიაში წარადგენს წერილობით განცხადებას, რომელიც უნდა შეიცავდეს მითითებას, თუ რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიის მისაღებად გამოცხადებულ რამდენ აუქციონში მონაწილეობის მიღებას ითხოვს ლიცენზიის მაძიებელი;

7. ლიცენზიის მაძიებლის განცხადებას თან უნდა დაერთოს:

ა) კერძო სამართლის იურიდიული პირისა და ინდივიდუალური მეწარმისათვის სახელმწიფო რეესტრიდან ამონაწერები, ხოლო ფიზიკური პირისათვის – იდენტიფიკაციის დამადასტურებელი, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი საბუთების ასლები. საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს სადამფუძნებლო დოკუმენტების დამოწმებული ასლები. განცხადებას ასევე თანდართული უნდა ჰქონდეს ლიცენზიის მაძიებლის ან ლიცენზიის მაძიებელი იურიდიული პირის წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელშიც მითითებული უნდა იყოს კონკრეტულად ყველა

იმ უფლებამოსილების თაობაზე, რა უფლებამოსილებითაც აღჭურვილია წარმომადგენელი აუქციონში მონაწილეობასთან დაკავშირებით. *(იმ შემთხვევაში თუ აუქციონში მონაწილეობას იღებს სხვა ქვეყანაში რეგისტრირებული ფიზიკური ან იურიდიული პირი, მის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია უნდა იყოს ნათარგმნი და ნოტარიულად დამოწმებული)*

ბ) სალიცენზიო მოსაკრებლის (1000 ლარი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი იმდენ ლიცენზიაზე, რამდენი ლიცენზიის მიღების მიზნით გამოცხადებულ აუქციონში მონაწილეობის მიღებასაც ითხოვს ლიცენზიის მამიებელი. აღნიშნული თანხა ირიცხება საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო ბიუჯეტში (საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშის შესაბამისი საბანკო რეკვიზიტების მოპოვების მიზნით დაინტერესებული პირი უფლებამოსილია მიმართოს კომისიის აპარატის საფინანსო დეპარტამენტს +995 32 239 40 29);

გ) რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ის (ბეს) გადახდის დამადასტურებელი საბუთი, რომელიც საკმარისი უნდა იყოს ლიცენზიის მამიებლის მიერ აუქციონში/აუქციონებში შესაძლო გამარჯვების შემთხვევაში მისაღები ლიცენზიით/ლიცენზიებით გათვალისწინებული ამოწურვადი რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ის დასაფარად. აღნიშნული თანხა ირიცხება კომისიის ანგარიშზე სააქციო საზოგადოება "თი-ბი-სი ბანკში" შემდეგი რეკვიზიტების მიხედვით:

მიმღები - საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია;

საიდენტიფიკაციო კოდი - 204953050;

ა/ანგარიში - GE 11 TB 06 000 000 006 093 26;

ბანკი - სააქციო კომერციული ბანკი „თი-ბი-სი“;

ბანკის კოდი - TBCBGE22;

რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-ი (ბე) ლიცენზიის მამიებლის აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში მიიმართება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში;

8. რესურსით სარგებლობის საწყისი საფასურის 10%-სა (ბე) და სალიცენზიო მოსაკრებლის დაბრუნების საკითხები განისაზღვრება კომისიის 2005 წლის 12 დეკემბრის №13 დადგენილებით დამტკიცებული "რადიოსიხშირული სპექტრით ან/და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის უფლების მოსაპოვებლად აუქციონის გამართვის დებულებით" განსაზღვრული წესით;

9. სალიცენზიო განცხადებების მიღების დასრულებიდან 3 სამუშაო დღის ვადაში კომისია ამოწმებს ლიცენზიის მამიებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესაბამისობას აუქციონის პირობებთან. დოკუმენტაციის არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში კომისია ლიცენზიის მამიებლებს განუსაზღვრავს დამატებით 5 სამუშაო დღის ვადას დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. კომისიის მიერ განსაზღვრულ ვადაში დოკუმენტაციის წარმოდგენლობის ან კვლავ არასრულყოფილად წარმოდგენის შემთხვევაში, სააუქციონო სხდომაზე კომისია იღებს გადაწყვეტილებას განცხადების განუხილველად დატოვებისა და ლიცენზიის მამიებლისათვის აუქციონში მონაწილეობაზე უარის თქმის შესახებ;

10. რესურსით სარგებლობის საფასურის 30%-ის გადახდა უნდა განხორციელდეს აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის შესახებ გადაწყვეტილების მიღებიდან 1 თვის ვადაში. 1 თვის ვადაში რესურსით სარგებლობის საფასურის 30%-ის გადაუხდელობის შემთხვევაში კომისია იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემაზე უარის თქმის შესახებ. აუქციონში გამარჯვებული ვალდებულია რესურსით სარგებლობის საფასურის 30%-ის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი კომისიას წარმოდგინოს გადახდიდან 2 სამუშაო დღის ვადაში. კომისია გადაწყვეტილებას აუქციონში გამარჯვებულისათვის ლიცენზიის გაცემის თაობაზე იღებს რესურსით სარგებლობის საფასურის 30%-ის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენიდან 5 სამუშაო დღის განმავლობაში. დარჩენილი ნაწილის გადახდა უნდა მოხდეს ლიცენზიის მოქმედების ვადის პირველი წლის განმავლობაში აუქციონში გამარჯვებული პირისათვის ლიცენზიის გაცემის შესახებ კომისიის გადაწყვეტილებით განსაზღვრული წესით, რა დროსაც ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში ყოველი მორიგი გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი კომისიას წარმოდგინოს გადახდიდან 2 სამუშაო დღის ვადაში;

11. დაევალოს კომისიის პრესმდივანს (ხ. ყურაშვილი) აღნიშნული საკითხის საინფორმაციო უზრუნველყოფა;
12. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;
13. გადაწყვეტილება ძალაში შედის კომისიის ოფიციალურ ვებ გვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნებისთანავე;
14. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის ადმინისტრაციულ დეპარტამენტს (ი. ხარებავა).

კომისიის თავმჯდომარე
კომისიის წევრი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი
კომისიის წევრი

ვახტანგ აბაშიძე
ელისო ასანიძე
კახი ბექაური
გიორგი ფრუიძე
მერაბ ქათამაძე